ოქმი:**ო37. 37232842**
თარიღი:**11/10/2023**

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის გოჩა კილაძის

ანგარიშის მოსმენის სხდომის

ოქმი

2023 წელი, 9 ოქტომბერი
ქ. ოზურგეთი
12.30 სთ-13.30 სთ.

თავმჯდომარეობდა: ლავრენტი ბიგვავა-მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე

ესწრებოდნენ : საკრებულოს წევრის ამომრჩევლები, საკრებულოს წევრები,

საკრებულოს აპარატის პასუხისმგებელი პირები.

ანგარიშის მოსმენის დაწყებამდე, სხდომის თავმჯდომარე ლავრენტი ბიგვავა მიესალმა ამომრჩევლებს-აღნიშნა, რომ მიმდინარეობს საკრებულოს რეგლამენტით გათვალისწინებული მუშაობის ერთ-ერთი საპასუხისმგებლო ეტაპი-საკრებულოს წევრების მიერ წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის ანგარიშის ჩაბარება. განაცხადა, რომ გოჩა კილაძე არის საკრებულოს მაღალი პასუხისმგებლობის მქონე წევრი, იგი რეგულარულად ესწრება და აქტიურად მონაწილეობს საკრებულოს, საკრებულოს ბიუროს, ფრაქციისა და კომისიების მუშაობაში, თითქმის ყოველდღიური კონტაქტი აქვს ამომრჩევლებთან, ზრუნავს მათი პრობლემების მოგვარებაზე.

საკრებულოს წევრმა, გოჩა კილაძემ საკრებულოს რეგლამენტის 131 -ე მუხლის შესაბამისად, წარმოადგინა მის მიერ საანგარიშო პერიოდში როგორც საკრებულოს სხდომებზე, ფრაქციასა და კომისიებში, ამომრჩევლებთან, მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურებთან ერთობლივად გაწეული მუშაობის ანგარიში. გ. კილაძემ აღნიშნა, რომ მის მიერ მხარდაჭერილი პროექტებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო:“ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში,“ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის საბიუჯეტო განაცხადის პროექტი,“2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანდაცვისა და სოციალური დახმარების გაცემისა და

მიღების წესი.

საკრებულოს წევრმა ისაუბრა საანგარიშო პერიოდში ამომრჩევლებთან შეხვედრის დროს მოქალაქეების მიერ წამოჭრილი პრობლემებისა და ამომრჩევლების წინაშე მისი და მერიის სამსახურის თანადგომით გაწეულ საქმიანობაზე, გადაუჭრელ პრობლემებზე.

ამომრჩევლებმაც და კოლეგებმაც მაღალი შეფასება მისცეს წარმოდგენილ ანგარიშს. აღინიშნა, რომ ანგარიში იყო უაღრესად საინტერესო და შინაარსიანი, და მიზანშეწონილია შეფასდეს დამაკმაყოფილებლად.

გამოთქმულ შეფასებებს დაეთანხმა სხდომის თავმჯდომარე ლავრენტი ბიგვავა და აღნიშნა, რომ ანგარიში სრულად შეესაბამება რეგლამენტის მოთხოვნებს,ხოლო გოჩა კილაძეს უსურვა წარმატებები მომავალ საქმიანობაში.

ლავრენტი ბიგვავა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი